

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ხელმძღვანელს

რეზო ჩარკვიანს

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. N76ბ

ბატონო რეზო,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ტერიტორიაზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას ზედამხედველობას უწევს საქართველოს სახალხო დამცველი. სხვა საკითხებთან ერთად, სახალხო დამცველი, როგორც ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმი, სწავლობს საქართველოში თანასწორობის კუთხით არსებულ მდგომარეობას.

აღნიშნული მანდატის ფარგლებში, სახალხო დამცველის აპარატმა მოგმართათ 2020 წლის 22 სექტემბრის N13-3/9359 წერილით და გამოითხოვა ინფორმაცია „ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს“ დაკომპლექტების საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან აპარატის ხელთ არსებული ინფორმაციით, საბჭოს წევრთა შორის არ არიან ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები.

საკასუხო კორესპონდენციით (N01/680, 29.09.2020) აპარატს ეცნობა, რომ 2020 წლის 13 მაისს სააგენტომ ონლაინ პლატფორმის საშუალებით ოფიციალურად გამოაცხადა ღია კონკურსი მრჩეველთა საბჭოს წევრების მისაღებად, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს ჰქონდა შესაძლებლობა, გაცნობოდა დეტალურ ინფორმაციას. კონკურსის თაობაზე შემოვიდა სულ 57 განაცხადი, რომელთაგან 2 კანდიდატი იყო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი. ამ უკანასკნელთაგან ერთმა ვერ დააკმაყოფილა პირველი ეტაპის დადგენილი კრიტერიუმები,<sup>1</sup> ხოლო მეორემ წარმატებით გაიარა ყველა ეტაპი და შეირჩა 23-კაციანი კომისიის წევრად. თუმცა, მას შემდეგ, რაც სააგენტოს წარმომადგენელმა შერჩეული ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი მოიწვია სააგენტოს ღონისძიებაზე მრჩეველთა საბჭოს წევრის სტატუსით, მან განაცხადა, რომ პირადი მიზეზების გამო ვერ შეძლებდა საბჭოში დარჩენას. დებულების თანახმად, წევრს ეთხოვა, 3 სამუშაო დღის ვადაში მის ორგანიზაციას, მის მაგივრად წარედგინა სხვა კანდიდატი, თუმცა საკასუხოდ მან განაცხადა, რომ ორგანიზაცია ვერ ახერხებდა სხვა კანდიდატის წარდგენას და თავადაც არ შეეძლო საბჭოს წევრად დარჩენა. ამ მიზეზით ჩაინიშნა კომისიის დამატებითი სხდომა და შერჩეულ იქნა სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ამავე კორესპონდენციაში ახალგაზრდობის სააგენტო მიუთითებს, რომ სააგენტოს საქმიანობის შესახებ საზოგადოებაში დაბალი ინფორმირებულობის გამო, სააგენტომ ოფიციალური განცხადების გარდა, არაფორმალურადაც შეატყობინა შესაძლებლობის შესახებ პოტენციურ ბენეფიციარებს. მათ შორის იყო ეთნიკური უმცირესობების საკითხზე მომუშავე ორგანიზაციები. მაგალითის სახით, წარმოდგენილია ორგანიზაცია „სალამთან“ გაგზავნილი არაფორმალური შეტყობინება. გარდა ამისა, აღნიშნულია, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართულნი სააგენტოს სხვა აქტივობებში. ხაზი გაესვა, აგრეთვე, იმ გარემოებას, რომ 2020 წელი არის

<sup>1</sup> კანდიდატს არ ჰქონდა წარმოდგენილი არცერთი დოკუმენტი (ორგანიზაციის წესდება და მხარდაჭერის წერილი).

საპილოტე წელი, მრჩეველთა საბჭოს წევრები აირჩნენ 1 წლის ვადით და სააგენტო, საბჭოს წევრებთან ერთად, იმუშავენ პროექტის დახვეწასა და საბჭოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლების არყოფნის სახით არსებული გამოწვევის საპასუხო აქტივობების მოფიქრებაზე.

საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება ახალგაზრდობის სააგენტოს მხრიდან განსახილველი საკითხის პრობლემურობის აღქმას და მის სულისკვეთებას, სააგენტოს აქტივობებში მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნი ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ახალგაზრდები. ასევე - ითვალისწინებს იმ გარემო ფაქტორებს, რომლებმაც, გარკვეულწილად, განაპირობა არსებული შედეგი (დაბალი ინფორმირებულობა, ერთი კანდიდატის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენლობა და მეორე კანდიდატის მიერ საბჭოს წევრობაზე უარის თქმა). თუმცა, აღნიშნული გარემოებები არ ცვლის ფაქტობრივ მოცემულობას, რომელსაც ახალგაზრდულ მრჩეველთა საბჭოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთა არყოფნა ქმნის.

მოგეხსენებათ, საქართველოში ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაცია მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ამ კუთხით, სახალხო დამცველი ყოველწლიურად გამოკვეთს ისეთ პრობლემურ საკითხებს, როგორებიცაა: განათლების უფლებაზე ხელმისაწვდომობა, ინფორმაციასა და სერვისებზე ეფექტიანი წვდომა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელთა ინიციატივების წახალისების ნაკლებობა.<sup>2</sup> აღსანიშნავია, რომ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებს განსაკუთრებული ძალისხმევა სჭირდებათ სწავლების სხვადასხვა საფეხურზე განათლების მისაღებად.<sup>3</sup> ამასთან, შემაშფოთებლად ფასდება მათი წარმომადგენლობითობისა და მონაწილეობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა მაშინ,<sup>4</sup> როცა კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილი პირების ეფექტური მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობების შექმნა მათი უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს.<sup>5</sup> ამ კუთხით არსებული პრობლემები უარყოფითად აისახება ქვეყანაში შემწყნარებლური და ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბებაზე, იწვევს სოციალურ ფრაგმენტაციას და ხელს უწყობს ეთნიკური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაციული მიდგომების გაძლიერებას.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის პროცესში განსაკუთრებული როლი ენიჭებათ საჯარო დაწესებულებებს, რომლებიც ისეთი მიზნების მისაღწევად არიან შექმნილნი, როგორითაც ახალგაზრდობის სააგენტო ხასიათდება: ახალგაზრდების სრულფასოვანი განვითარებისთვის, მათი პოტენციალის რეალიზებისა და

<sup>2</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2019, 378.

<sup>3</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2019, 379.

<sup>4</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში “საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ“, 2018, 289.

<sup>5</sup> ჩარჩო კონვენცია „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“, მუხ. 15.

საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა; ახალგაზრდებში სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათი გადაწყვეტილების მიღების პროცესში ინსტიტუციური მონაწილეობის ხელშეწყობა; არაფორმალური და ფორმალური გარე განათლების განვითარება, ახალგაზრდების ინიციატივების მხარდაჭერა, მათი დასაქმებისა და სწავლიდან დასაქმებაზე გადასვლის ხელშეწყობის მიზნით; ინკლუზიური, მონაწილეობაზე დაფუძნებული და წარმომადგენლობითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის უზრუნველყოფა.<sup>6</sup> სააგენტოს როლს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის მისი უფლებამოსილება, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა თუ საკანონმდებლო ბაზის სრულყოფაში.<sup>7</sup> ამასთან, მის ფუნქციებს შორის ცალკე არის გამოყოფილი ახალგაზრდებში ტოლერანტობის კულტურის განვითარების, უმცირესობათა წარმომადგენელი ახალგაზრდების ინკლუზიის ხელშეწყობის მიზნით, შესაბამისი პროგრამების შემუშავება და მათ განხორციელებაში მონაწილეობა.<sup>8</sup>

ხსენებული მიზნების მიღწევის პროცესში არსებითია თავად ახალგაზრდების მონაწილეობა. სწორედ ამიტომ, შეიქმნა „ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭო“, რომლის მიზანია, ახალგაზრდები ჩაერთონ იმ გადაწყვეტილებების მიღებაში, რომლებიც მათ ეხებათ, ისეთი ფორმით, რომ გავლენა მოახდინონ ამ გადაწყვეტილებებზე.<sup>9</sup> ამავე მიზნიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ საბჭო იყოს მაქსიმალურად წარმომადგენლობითი და მის წევრ ახალგაზრდებს შორის იყვნენ, მათ შორის, ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები, რათა მათაც მიეცეთ შესაძლებლობა, გააჟღერონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის, განათლებისა თუ ტოლერანტობისა და ინკლუზიის კუთხით არსებული პრობლემური საკითხები, რომლებსაც კარგად იცნობენ და გავლენა მოახდინონ შესაბამის გადაწყვეტილებებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ, მომავალში „ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს“ თუ ახალგაზრდობის სააგენტოსთან არსებული სხვა ერთეულის/ორგანოს დაკომპლექტებისას, გაითვალისწინოთ ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობის კუთხით არსებული გამოწვევები და გადადგათ პროაქტიული ნაბიჯები, ამ კუთხით, შიდა პოლიტიკის დოკუმენტის/სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და ცნობიერების ამაღლების მიმართულებით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ 20 დღის ვადაში.

პატივისცემით,

<sup>6</sup> „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ახალგაზრდობის სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 26 აგვისტოს N411 დადგენილება, მუხ. 2.

<sup>7</sup> იქვე, მუხ. 3(„ა“, „ბ“).

<sup>8</sup> იქვე, მუხ. 3(„ო“).

<sup>9</sup> ინფორმაცია ხელმისაწვდომია ონლაინ პლატფორმაზე: <<https://youthplatform.gov.ge/ka/event/11?>> [ბოლოს ნანახია: 16.10.2020].